## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/90 „10“ მაისი 2011 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მ. მეშველიანის ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატ მოსამართლედ მივლინების შესახებ**

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2011 წლის 23 მაისიდან:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მურთაზ მეშველიანი მივლინებულ იქნას ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შუახევის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.
2. მურთაზ მეშველიანმა, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილება განახორციელოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მ. მეშველიანის ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 30 ოქტომბრის №1/373 გადაწყვეტილება.

ვალერი ცერცვაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი